შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

IV ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

შემდეგ გვერდზე გადასასვლელად და უკან დასაბრუნებლად
შეგიძლიათ გამოიყენოთ კლავიატურაზე არსებული ღილაკები

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. *გაასწორეთ* მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

ჯვრის მონასტერი არის შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ქართული სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი პალესტინაში. მონასტერში რომელიც XI საუკუნის 50-ან წლებში დააარსა მწიგნობარმა გიორგი-პროხორემ შეიქნა მოზრდილი ქართული კოლონია. დაარსების თანავე გიორგი-პროხორე იყო ამ მონასტერში მოღვაწე მწიგნობართა მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობის მოთავეც. მან ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში დაუდო საფუძველი წიგნსაცავს რისთვისაც ხელნაწერები მისი დაკვეთით პალესტინისა და სხვა რეგიონების სავანეებში მზადდებოდა. ეს პროცესი შემდეგ თავად ჯვრის მონასტერში გაგრძელდა. აქ მოღვაწეობდენ ცნობილი მწიგნობრები, კალიგრაფები და შემმოსველები რომელთა მიერ არის გადაწერილი და დამზადებული სასულიერო მწერლობის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი.

მონასტრის კოლექციაში მთელი სისრულითა და მრავალფეროვნებით აისახა ქართულ სასულიერო მწერლობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები. სწორედ ამ კოლექციის წყალობით შემოგვრჩა მრავალი ლიტერატურული თუ ისტორიული ძეგლები. საკმარისია დავასახელოთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ რომელიც გიორგი მერჩულეს ეკუთვნის.

თურქ-სელჩუკთა მიერ იერუსალიმის აღებისას ჯვარი ნაწილობრივ დაინგრა. იგი დროთა განმავლობაში იმ შემოწირულებით გაანახლეს, რომელსაც სამშობლოსაგან იღებდნენ. ბერებს უშურველად ეხმარებოდნენ მეფეები და დიდებულები. განსაკუთრებით გამოცოცხლდა შემოქმედებითი საქმიანობა თამარის ეპოქაში. სამწუხაროდ ჯვრის მონასტერს საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა და მატერიალური დახმარება თანდათან მოაკლდა. მიუხედავად ასეთი პირობებისა მონასტრის ბინადრებმა სავანის შენარჩუნება XVIII საუკუნემდე მაინც შესძლეს.

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

ჩვენი ქვეყნის ისტორიით ვამაყობთ, მაგრამ მისი შესწავლითა და ღრმად გააზრებით თავის შეწუხება არ გვინდა.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ: თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

1.

„ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილია ქაჯეთის ციხესთან სამი რაინდის თათბირის შესახებ:

1. ფრიდონ თქვა: „ვიტყვი სიტყვასა, ვეჭვ, ჩემი არ დამცდარია:
ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია;
პირის-პირ ომი არ ძალ-გვიც, არ ჟამი საკვეხარია,
ათას წელ ვერსით შევუვალთ, თუ ზედ დაგვიხშან კარია.
2. ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,
მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთიდიან;
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალი ვერ მომკიდიან,
ვინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან.
3. აწ ვინცა ვიცით უკეთე შეტყორცა საგდებელისა,
მან ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ წვერი საბლისა გრძელისა,
მას ზედა გავლა ასრე მიჩს, ვითა გარბენა ველისა,
თქვენ ჭირად გიყო შიგანთა პოვნა კაცისა მრთელისა.
4. აბჯრითა გავლა არად მიჩს ჭირად, გატანა ფარისა;
შიგან ჩავხლტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა,
ლაშქართა დავხოც, გავახვამ, ჰნახოთ გაღება კარისა!
თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმას ზრიალი ზარისა“.
5. ავთანდილ უთხრა: „ჰე, ფრიდონ, მოყვასნი ვერ გიჩივიან;
ლომთა მკლავთაგან იმედი გაქვს, არა წყლულნი გტკივიან;
სთათბირობ ძნელთა თათბირთა, მტერთა ივაგლახ-ივიან,
მაგრა თუ გესმის, გუშაგნი რა ახლო-ახლო ყივიან!
6. რა გახვიდოდე, გუშაგთა ესმის აბჯრისა ჩხერება,
გიგრძნობენ, თოკსა მოჰკვეთენ, ამისა ხამს დაჯერება;
წაგიხდეს ცუდად ყველაი, დაგრჩეს ცუდიღა ფერება,
ეგე თათბირი არ ვარგა, სხვებრ ვქმნათ თავისა ტერება.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

7. სჯობს, დადეგით დამალულნი თქვენ ადგილსა იდუმალსა,
ისი კაცნი არ იჭირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა;
სავაჭროთა შევეკაზმვი, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა.
ერთსა ჯორსა გარდავჰკიდებ მუზარადსა, ჯაჭვსა, ხრმალსა.

8. სამთავე შესლვა არ ვარგა, თუ გვიგრძნან, არს სათუები;
მე მარტო შევალ ვაჭრულად და კარგად შევეტყუები,
მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გავჩნდები, გავეცრუები,
ღმერთმან ქმნას, უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები!

9. შიგანთა მცველთა მოვიცლი მე უნახავად ჭირისად,
თქვენ გარეთ კართა ეცენით ყოველნი მსგავსად გმირისად;
კლიტეთა დავლეწ, გავახვამ, დამიდგამს ვერ ქვითკირი სად.
თუ რა სხვა სჯობდეს, თქვენ ბრძანეთ, ვარ მრჩევლად ამა
პირისად“.

10. ტარიელ უთხრა: „მე თქვენი ვცან, გმირთა, მეტი გმირობა,
თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, პირობა;
ვიცი, გწადს ომი ფიცხელი, არ ცუდი ხრმალთა ღირობა;
კაციმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ომმან ქმნას გაჭირობა!

11. მაგრა იყვენით ჩემთვისცა საქმისა რასმე რჩევითა:
ხმა ესმას ჩემსა ხელ-მქმნელსა, ზედა გარდმოდგეს მზე
ვითა,
თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა?
ესე მე დამსვრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა.

12. მაგა თათბირსა ესე სჯობს, ვქმნათ ჩემი მონახსენები:
გავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები,
სამთავე სამგნით მივჰმართოთ, ფიცხლა დავსხლიტოთ
ცხენები;
მოგვეგებვიან, ვემცრობით, ჩვენ ხრმალსა მივსცეთ მძლე
ნები.

13. ფიცხლა შევებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრებენ კარებსა,
სამთაგან ერთი შევუვალთ, სხვა გარეთ ვსცემდეთ გარებსა,
მან ერთმან შიგნით შიგანნი მივსცეთ სისხლისა ღვარებსა,
ხელი კვლა ვჰხადოთ აბჯარსა, მას ჩვენგან მძლედ
ნახმარებსა“.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

3. პირველი სტროფის მიხედვით, რაზე მეტყველებს ფრიდონის სიტყვები: „პირის-პირ ომი არ ძალ-გვიც...“?

ა) ის რეალურად უყურებს ქაჯეთში მოვლენათა მოსალოდნელ განვითარებას.

ბ) ის სათანადოდ ვერ აფასებს მეგობრების საბრძოლო ოსტატობას.

გ) მას სურს, რომ თავი აარიდონ ქაჯებთან შეიარაღებულ დაპირისპირებას.

დ) მას ქაჯების მეომრულ შესაძლებლობებზე გაზვიადებული წარმოდგენა აქვს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

4. რისი თქმა სურს ფრიდონს სიტყვებით: „ათას წელ ვერსით შევუვალთ, თუ ზედ დაგვიხშან კარია“?

ა) ქაჯეთის ციხის აღება მხოლოდ ადამიანთა მიერ, დევების დახმარების გარეშე, შეუძლებელია.

ბ) ქაჯეთის ციხის აღება მხოლოდ ძალის იმედად, ხერხის გამოყენების გარეშე, შეუძლებელია.

გ) ქაჯეთის ციხის აღება შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის მეომრებს დიდი დრო დასჭირდებათ.

დ) ქაჯეთის ციხის აღება შესაძლებელია, ოღონდ ამისთვის დიდი ლაშქრის შეყრაა საჭირო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

5. **რას ნიშნავს სიტყვები:** „სამუშაითოდ მზრდიდიან...“?

ა) მეაბჯრედ მამზადებდნენ.

ბ) სამუშაოდ მგზავნიდნენ.

გ) სანიმუშოდ მწვრთნიდნენ.

დ) ჯამბაზად მზრდიდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

6. ფრიდონის რა თვისებები ჩანს მეოთხე სტროფში?

ა) განთქმული მეაბჯრე და გამოცდილი მეციხოვნეა.

ბ) კარგი მოქარავნე და ლაშქრის წინამძღოლია.

გ) ნამდვილი ვაჟკაცი და საუკეთესო მეომარია.

დ) სწრაფი მსროლელი და იარაღის ოსტატია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

7. **რა მხატვრული საშუალებაა:** „მას ზედა გავლა ასრე მიჩს, ვითა გარბენა ველისა...“?

ა) ალუზია.

ბ) ირონია.

გ) მეტაფორა.

დ) შედარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

8. ავთანდილის აზრით, რა შეუშლის ხელს ფრიდონის გეგმის განხორციელებას?

ა) ის, რომ გუშაგები აბჯრის ჩხარუნს გაიგონებენ და თოკს ჩაჭრიან.

ბ) ის, რომ ფრიდონს ძველი ჭრილობები ჯერ კიდევ არ შეხორცებია.

გ) ის, რომ ფრიდონს თოკზე საბრძოლო აღჭურვილობის ტარება გაუჭირდება.

დ) ის, რომ ქაჯეთის ციხის ბურჯზე ქამანდის შეტყორცნა შეუძლებელია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

9. რას გულისხმობს ავთანდილი სიტყვებში: „სხვებრ ვქმნათ თავისა ტერება“?

ა) სხვა გზით ვუშველოთ თავს.

ბ) სხვებთან ერთად დავიხსნათ თავი.

გ) სხვებივით თავი არ შევირცხვინოთ.

დ) სხვებს თავი არ დავაჩაგვრინოთ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

10. როგორ აფასებს მეშვიდე სტროფში ავთანდილი საკუთარ გადაწყვეტილებას?

ა) როგორც ვერაგობას.

ბ) როგორც სარისკო ნაბიჯს.

გ) როგორც სიმხდალეს.

დ) როგორც ღირსეულ მოქმედებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

11. ქაჯთა ქალაქის რა წესს ითვალისწინებს ავთანდილი თავისი გეგმის გაცნობის დროს?

ა) გლოვის დროს ქალაქში საგანგებო წესები მყარდება.

ბ) ქალაქში იარაღით შესვლა მხოლოდ ვაჭრებს შეუძლიათ.

გ) ქალაქში შესვლისას ვაჭარს დაბრკოლებას არ უქმნიან.

დ) ქალაქში შესული რაინდისათვის ყველა გზა გახსნილია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

12. რა აქვს საერთო ფრიდონისა და ავთანდილის გეგმებს?

ა) ფრიდონი და ავთანდილი ცდილობენ, ბრძოლის მთელი სიმძიმე საკუთარ თავზე აიღონ.

ბ) ფრიდონი და ავთანდილი ცდილობენ, საკუთარი შესაძლებლობებით ტარიელის წინაშე თავი მოიწონონ.

გ) ფრიდონი და ავთანდილი ცდილობენ, ტარიელს მოსალოდნელი საფრთხე თავიდან ააცილონ.

დ) ფრიდონი და ავთანდილი ცდილობენ, ქაჯებთან პირისპირ ბრძოლას როგორმე თავი აარიდონ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

13. როგორ აფასებს ტარიელი თავის მეგობრებს მათი თათბირისა და გამორჩევის მიხედვით?

ა) როგორც გამოუცდელ სარდლებს.

ბ) როგორც პატივმოყვარე ჭაბუკებს.

გ) როგორც ფრთხილ ადამიანებს.

დ) როგორც ძალგულოვან მეომრებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

14. ტარიელის აზრით, გეგმის შედგენის დროს რაზე არ იფიქრეს მისმა მეგობრებმა?

ა) ბრძოლის დროს ნესტანი სატრფოს თუ ვერ დაინახავდა, ტარიელის ღირსება შეილახებოდა.

ბ) როგორც კი ბრძოლა გამწვავდებოდა, ტარიელის მიჯნური თავის მოკვლას გადაწყვეტდა.

გ) როგორც კი ბრძოლა დაიწყებოდა, ქაჯთა მთავარი ლაშქარი მაშინვე უკან დაბრუნდებოდა.

დ) ქაჯები ბრძოლაში თუ დამარცხდებოდნენ, ნესტან-დარეჯანს ცოცხალს არავინ დატოვებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

15. რა გაითვალისწინა ტარიელმა თავისი გეგმის შემუშავების დროს?

ა) მებრძოლთა სიმცირის გამო მტერი მათ სახიფათო მოწინააღმდეგედ არ მიიჩნევდა.

ბ) მისი შავი ბედაური ქაჯთა ქალაქის გალავანზე ზემოდან გადახტომას შეძლებდა.

გ) ნესტან-დარეჯანს ქაჯთა შორის მოკავშირეები უკვე მოძებნილი ეყოლებოდა.

დ) ქაჯთა მეფე გარდაცვლილი დის დასატირებლად წასვლას არ გადადებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

16. ტარიელის რა თვისებები გამოჩნდა მის გეგმაში?

ა) ვაჟკაცობა და გონიერება.

ბ) მადლიერება და სიფრთხილე.

გ) პატივმოყვარეობა და სიჯიუტე.

დ) უმადურობა და ამპარტავნობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

17. რუსთველის რომელი ფრაზა შეესაბამება ამ ეპიზოდის მთავარ სათქმელს?

ა) „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

ბ) „კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“.

გ) „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება“.

დ) „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მათივე გეგმების მიხედვით;
- იმსჯელეთ, როგორია იდეალური რაინდის სახე ამ ტექსტის მიხედვით;
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

2.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან „არსენა მარაბდელი“:

„აზრი მქონდა და ჩამეფუშა. მინდოდა გლეხისთვინ შვება მიმეცა და არ გამომყვა. დედ-მამა მყავდა და გადამიკარგეს. ნათესავები მომაშორეს. მიწა და სახლ-კარი წამართვეს. ძმა ტყეში გამიგდეს. ოჯახი გავიჩინე და დამინგრიეს. ძმადნაფიცები მყავდა და ზოგი დამიხოცეს და ზოგიც გააციმბირეს. რაღაა ახლა ჩემი სიცოცხლე? მე ან ნაადრევად დავბადებულვარ, ან ძალიან დამიგვიანია“. არაფერი, აღარაფერი. ისევ ტყე-ღრეში იხეტიალოს? დაიღალა. ისევ რაზმი შეადგინოს? არა გამოვარა. კარიკარ იწანწალოს? სირცხვილია. გვარი გამოიცვალოს და ვინმე თავადს შეეხიზნოს? ყველგან იცნობენ, დაიჭერენ და უბრძოლველად დაიღუპება. უკანასკნელ დროს ერთი აზრი აეკვიატა ბუზივით: წადი, მოშორდი აქაურობასო. მარაბდელი არ ნებდებოდა მას, ახლა კი ღრმად შეუშვა თავში და კიდევაც მოიწონა... მაგრამ ისე როგორ წავა, რომ კუჭატნელსაც არ გადაუხადოს უმძიმესი ვალი! ის არის, რაც არის!.. არა, ისე არ წავა ოძელაშვილი, რომ ერთი მათგანი არ ჩაწვეს შავ მიწაში. „ვაი დედასა! რა სულელი ვიყავი, რომ თრიალეთის ტყეში დავინდე! ნუგეშად ისღა შემრჩა, რომ დედალივით გამექცა“.

- ბიჭოს?! - უცებ წამოიძახა გაოცებით. - ძაღლი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო. - ქალაქიდან სამი ცხენოსანი მოდიოდა: კუჭატნელი - გიორგი სეფისკვერაძე, მისი ძმისწული ზალიკა და მხლებელი გამზათი... „ძაღლი ახსენეო, მაგრამ იქნება ამ ძაღლის ტყავში ჩემი ავი ბედი შემძვრალა და საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად წამოსულა?“ ის უკვე შუა გზაზე იდგა, ხელადა და ჯამი ეჭირა და გიორგის უცდიდა, რომელიც ზედ მოადგა ცხენდაცხენ და გაოცებული შესდგა...

- გეძებდი და კიდეც შეგხვდი.

- გერიდებოდი და მაინც შეგხვდი. ეხლა რა გინდა?

- ეხლა ის მინდა, რომ ცხენიდან ჩამოხვიდე და სუფრა დამილოცო.

- რა სუფრა! რომელი სუფრა! - გესლიანად ჩაიღიმა სეფისკვერაძემ. - მარტო დამჯდარხარ, მარტო სვამ და სუფრა გგონია?

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ოძელაშვილს შერცხვა. მართლა უწესოდ მოქცეულიყო და თვითონაც ვერ შეამჩნია.

- მაშ ცხენი დაასვენე და ერთი ჯამი მაინც დალიე.

- ყაჩაღი იყავი და ყაჩაღურად იქცევი. თათრულად მონათლულხარ. შენც გაგიტეხია წითელი პარასკევი და გინდა მეც წამწყმიდო? გზა მომეცი! - ცხენს მათრახი გადაუჭირა, არსენა კინაღამ გაიტანა და ისე წავიდა, რომ უკან არც კი მოიხედა. ლეკი და ზალიკაც გაჰყვნენ. გამზათმა მოიხედა, გახევებულ მარაბდელს შხამიანი ღიმილი შემოასხა და მათრახი დაუქნია. ბოღმით და სირცხვილით შებოჭვილი არსენა ერთხანს გაშტერებული იდგა. კუჭატნელის უკმეხი პასუხი თითქო სამართლიანი იყო. წითელი პარასკევი იდგა და იმ დღეს ოძელაშვილს ღვინო არ დაელევოდა, მაგრამ მარაბდელი კაეშანს ჰყავდა შეპყრობილი და ესეც დაავიწყდა. ეს „ყაჩაღი და თათარი“ ხომ მისი გალანძღვა და აბუჩად აგდებაა?!

- ვაი დედი-ჩემის ღმერთსა, კუჭატნელო! - და ჯამი მიწაზე დაანარცხა... - უნაგირს ეცა და ხუთიოდე წუთის შემდეგ ბილიკებით მიჰქროდა მცხეთისკენ... მცხეთას რომ გაუსწორდა, გიორგის გზა უყელა, ცხენი ზედ მიაგდო და მიაძახა:

- კუჭატნელო, გამაგრდი! რაკი ყაჩაღი ვყოფილვარ, მაშ ყაჩაღურად მოგექცევი.

- გონს მოდი, ოძელაშვილო!

- დამიხვდი მეთქი! - მომხდურს დამხდური უნდოდა და კუჭატნელიც დაუხვდა. მარაბდელმა გორდამ გორდა იშიშვლა და ელვასავით გაიფიქრა: „ეს კი ნამდვილად დამიხვდება. მაგრამ სანამ ერთხელ მაინც არ მოიქნევდეს, არ დაჰკრა“. კუჭატნელი ვეება სატევარს ეწეოდა და ვერ ამოეწივნა. არსენამ ვეღარ მოითმინა, ხმლის წვერით ბაკმი მოავლო კუჭატნელის თავს, შემდეგ ყუით დაჰკრა იმის უნაგირის კეხს და დააყოლა:

- ჰა, გიორგი, ამოიღე! - და იმავე წამს ხელი შეუმსუბუქდა და ჟრუანტელმა ჩაურბინა: ვადაში გადატეხილმა ხმლის პირმა ჟღარუნი გაიღო მიწაზე. ყოველივე დანარჩენი ელვასავით დატრიალდა... იმავე დროს კუჭატნელის სატევარმაც იელვა. უიარაღო არსენამ მოშუღარს თვალი თვალში გაუყარა, გაუღიმა და გაიფიქრა: „თრიალეთზე მე დავინდე, ეხლა კი ეს დამინდობს. არ

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

დამკრავს. შერცხვება“. გულმართალი მარაბდელი ეხლაც მოტყუვდა. კუჭატნელმა არც დაინდო და არც სირცხვილი შეინახა: დაჰკრა და მარჯვენა ჩამოათალა. ლურჯა განზე გახტა. უძილომ, დაქანცულმა, ნაციებმა, ნასვამმა და უხელო არსენამ თავი ველარ შეიმაგრა და გადმოვარდა. გადმოვარდა, მაგრამ მაშინვე წამოიწია, მარცხენა ხელით მარაბდის მიწაში ნაპოვნი ხანჯალი ამოიღო, გადაუშვა და წვერიღა მიაწვდინა. მიაწვდინა და უცხვირპირო კუჭატნელს ყურიც ჩამოაჭრა და ბარძაყიც დაუსერა. გიორგიმ კიდევ მოუქნია. ოძელაშვილმა აუკრა, აიცდინა, ხანჯალი გააგდებინა და ერთხელ კიდევ მიეტანა, მაგრამ ამ დროს - სწორედ ამ დროს ლეკმა გამზათ ედინმა უკნიდან დამბაჩა დაახალა და ზურგზე ბოლი აადინა. მარაბდელი მოტრიალდა, ლეკს გაოცებული თვალები შეანათა, სადაც უკვე სიკვდილიც ჩაღვრილიყო, წაბარბაცდა... და მოჭრილი მუხის ძელივით გაიშოტა. პირიდან სისხლი წვრილი ზორტივით გადმოსდიოდა. ხელები განივრად დაეყარნა. თვალები დაეხუჭნა და მხოლოდ ცალი წარბიღა უხტოდა გამალებით, უხტოდა და აზიდული ალამივით იძლეოდა იმის ნიშანს, რომ სასიცოცხლო ნიშატი ჯერ არ იყო ჩამქრალი. ლურჯამ პატრონს დაჰსუნა, მრისხანედ დაიჭიხვინა და წინა ტორებით ბრდღვინვა ასტეხა. ლეკი, ზალიკა და კუჭატნელიც განზე გამდგარიყვნენ, წარბის ცახცახს უთვალთვალებდნენ და ჯერ ვერა ჰბედავდნენ ახლო მისულიყვნენ, რადგან ეგონათ, არსენა ისევ წამოიწევს და ფათერაკს შეგვამთხვევსო. არსენამ მართლა წამოიწია, ისე წამოიწია, რომ უწინდელზე უფრო მაღალი გამოჩნდა. მარაბდელის ლანდი და სიკვდილი ერთმანეთში ჩაიხლართნენ და ურთერთი კუჭატნელისკენ გაათრიეს. ხოლო სისხლით მოსვრილი სეფისკვერაძე უტუჩო კბილებით თითქო იღიმებოდა და უკან-უკან იხევდა. ოძელაშვილს ცალი ხელი მათრახივით ეკიდა და სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა. მარცხენა ხელში კი სატევარი ეჭირა და აჩრდილივით მისტორტმანებდა. ლურჯა გვერდით მისდევდა. არსენა თითქო მიჰხვდა, რომ ვერ დაეწეოდა. ის ხელი ლურჯას მოჰხვია კისერზე, მოეხვია და სამარიდან მოდენილი ხმით ამოისუნთქა: - გიორგი, მაჯობე... ვკვდები. ორჯერ დაგინდე და ახია ჩემზე... ვინც იარაღი ამოიღო, კიდეც უნდა დაჰკრას... მე კი მეგონა, მტერს მანამდე არ დაჰკრა, სანამ ერთხელ მაინც არ მოგიქნევდეს... ჭკუა წავაგე და... მაგრამ არ შეგრჩების, კუჭატნელო! მწარედ გადაგიხდიან... ვაი დედი-შენის ღმერთსა, გორდა ოძელაშვილო!.. რა უბრალოდ გაგაფუჭეს... ვკვდები, კუჭატნელო... - ნელინელ ჩაიწია, ჩაიჩოქა და სამუდამოდ გაიჭიმა.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

3. პერსონაჟის როგორი განწყობილება ჩანს პირველ აბზაცში?

ა) სასოწარკვეთილი.

ბ) საბრძოლო.

გ) იმედიანი.

დ) შემწყნარებლური.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

4. **რას ნიშნავს არსენა მარაბდელის სიტყვები:** „მინდოდა გლეხისთვინ შვება მიმეცა და არ გამომყვა“?

ა) არსენას არ აინტერესებდა გლეხობა, რომლის იმედი ისედაც არ ჰქონდა.

ბ) არსენას სურდა, დახმარებოდა გლეხობას, თუმცა იმედი გაუცრუვდა.

გ) არსენას გულწრფელად უყვარდა გლეხობა, რომელსაც დიდი სიკეთე მოუტანა.

დ) არსენა გადაყოლილი იყო გლეხობაზე, თუმცა პასუხად სიძულვილი მიიღო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

5. **რაზე მიანიშნებს არსენას მიერ საკუთარი თავისთვის დასმული კითხვები:** „ისევ ტყე-ღრეში იხეტიალოს?“, „ისევ რაზმი შეადგინოს?“, „კარიკარ იწანწალოს?..“

ა) მას გულგრილობა ეუფლება.

ბ) იგი შურისძიების სურვილითაა შეპყრობილი.

გ) იგი სასტიკ ბრძოლაზე ფიქრობს.

დ) იგი გამოსავალს ეძებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

6. კუჭატნელის რა თვისება ჩანს არსენას სიტყვებში: „დედალივით გამექცა“?

ა) სიფრთხილე.

ბ) სისასტიკე.

გ) ლაჩრობა.

დ) წინდახედულობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

7. **არსენას რა სულიერი მდგომარეობა ჩანს სიტყვებში:** „იქნება ამ ძაღლის ტყავში ჩემი ავი ბედი შემძვრალა და საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად წამოსულა?“

ა) იმედგაცრუება.

ბ) გულგრილობა.

გ) განრისხება.

დ) დაეჭვება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

8. ტექსტის რომელ მონაკვეთშია გამოყენებული ტროპული მეტყველება?

ა) „გახევებულ მარაბდელს შხამიანი ღიმილი შემოასხა და მათრახი დაუქნია“.

ბ) „ის უკვე შუა გზაზე იდგა, ხელადა და ჯამი ეჭირა და გიორგის უცდიდა“.

გ) „მარტო დამჯდარხარ, მარტო სვამ და სუფრა გგონია?“

დ) „ძმადნაფიცები მყავდა და ზოგი დამიხოცეს და ზოგიც გაციმბირეს“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

9. არსენა მარაბდელის რა შეცდომა მოჰყვა იმას, რომ იგი „კაეშანს ჰყავდა შეპყრობილი“?

ა) წითელ პარასკევს ღვინოს სვამდა.

ბ) კუჭატნელი სუფრასთან მიიწვია.

გ) მოსისხლე მტერს გულღიად შეხვდა.

დ) სიფრთხილის გრძნობა მოუდუნდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

10. რატომ მიქროდა არსენა მარაბდელი „ბილიკებით... მცხეთისკენ“**?**

ა) კუჭატნელს რომ დასწეოდა.

ბ) მარცხი რომ დაევიწყებინა.

გ) ცოდვა რომ მოენანიებინა.

დ) სუფრას რომ მოშორებოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

11. რის ხაზგასმა სურს ავტორს, როცა არსენას „გორდას“ (ანუ ხმალს) უწოდებს?

ა) მისი ალღოიანობისა და წინდახედულობის.

ბ) მისი სისასტიკისა და დაუნდობლობის.

გ) მისი ვაჟკაცობისა და სიმამაცის.

დ) მისი წინდაუხედაობისა და გულგრილობის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

12. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მონაკვეთში: „გულმართალი მარაბდელი ეხლაც მოტყუვდა“?

ა) ეპითეტი.

ბ) მეტაფორა.

გ) შედარება.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

13. კუჭატნელის ხასიათის რა თვისება ჩანს მონაკვეთში: „კუჭატნელმა არც დაინდო და არც სირცხვილი შეინახა: დაჰკრა და მარჯვენა ჩამოათალა“?

ა) ძლიერი მეტოქის შესაძლებლობების დაუფასებლობა.

ბ) ბრძოლის რაინდული წესის აღიარება.

გ) თანაბარ პირობებში გამარჯვებისათვის ბრძოლა.

დ) ბრძოლის რაინდული წესის უგულებელყოფა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

14. რატომ „შეანათა“ არსენა მარაბდელმა ლეკ გამზათ ედინს „გაოცებული თვალები“?

ა) ასეთ ვერაგობას არ ელოდა.

ბ) გამზათ ედინი თავისი მოკავშირე ეგონა.

გ) ეგონა, ლეკი ხმლით შეებრძოლებოდა.

დ) ლეკის არსებობა საერთოდ არ იცოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

15. რაზე მიანიშნებს სიტყვები: „სამარიდან მოდენილი ხმით ამოისუნთქა“?

ა) არსენას სიკვდილი გარდაუვალია.

ბ) არსენას გამარჯვების იმედი გაუჩნდა.

გ) არსენას გადარჩენა შესაძლებელია.

დ) არსენას ძალების მოკრება შეუძლია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

16. რას უნდა ნიშნავდეს არსენას მიერ საკუთარ თავზე ნათქვამი სიტყვები: „რა უბრალოდ გაგაფუჭეს...“?

ა) იგი უღირს მტრებთან დამარცხდა.

ბ) იგი უფრო ძლიერ მტერთან დამარცხდა.

გ) მისი დამარცხება გარდაუვალი იყო.

დ) მისი მტერი ცოცხალი რჩებოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

17. ტექსტის რომელ მონაკვეთში ჩანს არსენას რაინდული ბუნება?

ა) „არსენამ მართლა წამოიწია, ისე წამოიწია, რომ უწინდელზე უფრო მაღალი გამოჩნდა“.

ბ) „თვალები დაეხუჭნა და მხოლოდ ცალი წარბიღა უხტოდა გამალებით“.

გ) „მტერს მანამდე არ დაჰკრა, სანამ ერთხელ მაინც არ მოგიქნევდეს“.

დ) „მარცხენა ხელში კი სატევარი ეჭირა და აჩრდილივით მისტორტმანებდა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ არსენა მარაბდელის (ოძელაშვილის) მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ გიორგი კუჭატნელის (სეფისკვერაძის) მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებით არის რეალიზებული ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე